ეროვნული ბიბლიოთეკა
Библиотека

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ნოემბრის 29 № 29 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

127. სახელმწიფო დაზღვევისათვის სასოფლო ადგილებში სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის შეფასების ჩატარების შესახებ.

128. აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მისაღებად კომისიის გამოყოფის შესახებ.

129. აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

130. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

131. კირისა და გაჯის გასაცემი ფასების შესახებ.

132. 1941 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

133. გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენების სწავლების შესახებ.

134. ქ. თბილისში სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის ორგანიზაციის შესახებ.

129. აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დაიდგას აკადემიკოს ი. ა. ჯავახიშვილის ბიუსტი, რის შესრულებაც დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს.

2. დამტკიცდეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება იმის შესახებ, რომ ქ. თბილისში კოლხიდის ქუჩას ეწოდოს ი. ა. ჯავახიშვილის ქუჩა.

3. დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული და ფილოლოგიური ფაკულტეტების ფრიადოსან სტუდენტთათვის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ათი გაძლიერებული სტიპენდია.

4. დაევალოს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალს გამოაქვეყნოს ი. ა. ჯავახიშვილის ნაშრომები ქართულ და რუსულ ენაზე.

5. ი. ა. ჯავახიშვილის მეუღლეს ანასტასია ნიკოლოზის ასულ ჯავახიშვილს დაენიშნოს პერსონალური პენსია თვეში 1000 მანეთის რაოდენობით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ნოემბრის 20. № 2355.
თბილისი.

---

130. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დებულების მე-2 მუხლის შეცვლის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 28, მუხ. 677), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 28 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დებულების 2 მუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის პუნქტი „ზ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 9, მუხ. 38) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„ზ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტთან წინასწარი შეთანხმებით გასცემს ნებართვებს სამხატვრო სანახაობათა საწარმოების გახსნისა და ლიკვიდაციის შესახებ და აწესრიგებს თეატრების, ანსამბლებისა და ცალკეული შემსრულებლების გასტროლებს“.

2. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სათანადო ცვლილებანი შეიტანონ ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ხელოვნების განყოფილების დებულებებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ნოემბრის 21. № 2363.
თბილისი.

---

131. კირისა და გაჯის გასაცემი ფასების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 31 ოქტომბრის № 1788 დადგენილების შესაბამისად, დაწესდეს 1940 წლის 1 აგვისტოდან ახალი, რაიონების მიხედვით დიფერენცირებული ფასები კირსა და გაჯზე, თანახმად დანართისა № 1, ამასთან ეს ფასები გავრცელდეს საქართველოს სსრ ყველა მწარმოებელზე.

2. წინადადება მიეცეს სამრეწველო ბანკის, კომუნალური ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებს და სხვ. სპეცბანკებს:

ა) ჩაატარონ გადაანგარიშება (მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის) 1940 წ. 1 ავგვისტოს შემდეგ რეალიზებული კირისა და გაჯის მიხედვით, თანახმად ამ დადგენილებით დაწესებული ახალი გასაცემი ფასებისა;

ბ) კირის ანგარიშები გაანაღდონ დაწესებული ხარისხიანობის მტკიცე შესაბამისობით, ამასთან არ დაუშვან პირველი ხარისხის განაღდება ისე, თუ წარმოდგენილი არ იქნება სათანადო დოკუმენტი კირის ანალიზის შედეგის შესახებ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს მოაგვაროს გამოშვებული კირის ხარისხის სისტემატური გამოცდა საკონტროლო-საცდელი

ლაბორატორიის მეშვეობით, ამასთან უზრუნველჰყოს, რათა გამომუშავებული კირის ხარისხიანობის შესახებ გაცემულ იქნას ცნობები ქარხნების მიხედვით თვეში ერთხელ მაინც.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ნოემბრის 22. № 2379.
თბილისი.

დანართი

კირისა და გაჯის გასაცემი ფასები

(ფრანკო წარმოება)

რაიონები	გასაცემი ფასი		**შენიშვნა**
	I ხარისხი	II ხარისხი	
1. კირი (ტონობით)			
1. ცხაკაიას, სუხუმის რაიონები და სურამის კირის ქარხანა .	58—00	50—00	გიდრავლიური კირი გაიცემა I ხარისხის ფასის მიხედვით.
2. ქუთაისის, ტყიბულის, ლანჩხუთის	69—00	60—00	
3. სამტრედიის, ორჯონიკიძის, მცხეთის, გორის, სიღნაღის, კასპის, ზუგდიდის, ჩხარის, ვანის, ხაშურის (გარდა სურამის ქარხნისა)	80—00	70—00	
4. წულუკიძის, წალენჯიხის, ყვარლის, ლუქსემბურგის, ახალქალაქის რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონ. ოლქი . . .	127—00	110—00	
II გაჯი (ტონობით)			
საქ. სსრ ყველა რაიონი	40—00	—	

ეროვნული ბიბლიოთეკა

132. 1941 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ.

1941 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების მუშაობის თავის დროზე და სწორად ჩატარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს, ცეკავშირს, სარეწაო საბჭოს და ცენტრალურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უზრუნველჰყონ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება 1941 წლისათვის იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 8 ოქტომბრის და 5 დეკემბრის დადგენილებით „1940 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 58, მუხ. 617 და 618) აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1940 წლის 5 ნოემბრის დადგენილებით.

2. 1941 წლისათვის წლიურ ხელშეკრულებათა დადება დაამთავრონ შემდეგ ვადებში:

ა) ფართო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებებისა არაუგვიანეს 1940 წლის 20 დეკემბრისა;

ბ) საწარმოო-ტექნიკური მოწყობილობის საგნების მიწოდების ხელშეკრულებებისა—არაუგვიანეს 1941 წლის 20 იანვრისა;

გ) წყლის გზებით ტვირთის გეგმიანი გადაზიდვის ხელშეკრულებებისა და ტვირთის გადაზიდვის საკვანძო შეთანხმებებისა—არაუგვიანეს 1941 წლის 20 თებერვლისა.

3. კაპიტალური მშენებლობის ხაზით საიჯარო ხელშეკრულებათა დადება დამთავრდეს:

გარდამავალი მშენებლობის ხაზით—არაუგვიანეს 1941 წლის 1 თებერვლისა და ახლადდაწყებული მშენებლობის ხაზით — არაუგვიანეს 1941 წლის 1 მარტისა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, ცეკავშირს სარეწაო საბჭოს, ცენტრალურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს არაუგვიანეს 1 დეკემბრისა დაუგზავნონ სახელმძღვანელოდ სათანადო ორგანიზაციებსა და საწარმოებს 1941 წელს იმ საქონლის მიწოდების ძირითადი პირობები, რომელზედაც არ ვრცელდება მიწოდების საერთო-საკავშირო პირობები.

5. დაწესდეს, რომ რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია, კერძოდ, სარეწაო საბჭოს, საქკოოპინკავშირისა და საქსარეწტყეკავშირის პროდუქცია, რომლის გასაღებასაც საერთო-საკავშირო ორგანოები არ გეგმავენ, რეალიზებულ უნდა იქნას განაწილების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

6. აეკრძალოს უკლებლივ ყველა ორგანიზაციას, დაწესებულებებსა და საწარმოებს ისეთ ხელშეკრულებათა დადება, რომლებიც შემხვედრ ტვირთზიდვას იწვევენ.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს, კოოპერატიულ ცენტრებსა და ცენტრალურ დაწესებულებებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინონ 15-დღიური ანგარიში 1941 წლისათვის ხელშეკრულებათა დადების მიმდინარეობის შესახებ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს 1939 წლის 11 ოქტომბრის № 10-797 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის მიხედვით, ამასთან პირველი ანგარიში შედგენილ უნდა იქნას 1940 წლის 5 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, მეორე ანგარიში—1940 წლის 20 დეკემბრისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით და ა. შ.

8. პასუხისმგებლობა 1941 წლის ხელშეკრულებათა თავის დროზე და სწორად დადებისათვის დაეკისროს:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

რესპუბლიკური ქვემდებარების სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში—სათანადო სახალხო კომისრებს, რესპუბლიკური კოოპერატიული ცენტრებისა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ მთავარ არბიტრს უზრუნველჰყოს წინასახელშეკრულებო დავის დროზე განხილვა, ამასთან დაევალოს მას იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულ იქნა ხელშეკრულებათა დადების ზღვრული ვადები, აცნობოს ეს ზემდგომ ორგანიზაციებს დამნაშავეთა მისაცემად პასუხისგებაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ნოემბრის 22. № 2384.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

133. გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენების სწავლების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში უაღრესად არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული უცხო ენების (გერმანული, ინგლისური და ფრანგული) სწავლება. სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით, არ არის ორგანიზებული ახალი კადრების მომზადება, საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატი სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევს უცხო ენების სწავლებას.

იმ მიზნით, რომ საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გაუმჯობესდეს უცხო ენების სწავლება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1940 წლის 16 სექტემბერს „გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენების სწავლების შესახებ“ მიღებული დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 25, მუხ. 613) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლაში ერთი უცხო ენის (გერმანული, ინგლისური, ფრანგული) სწავლება V კლასიდან 1943 წლისათვის.

2. იმ მიზნით, რომ საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყოფილ იქნან უცხო ენების მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით, წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს:

ა) უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს ქუთაისის და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან არსებული უცხო ენების ორწლიანი კურსების დაკომპლექტებას, ამასთან უზრუნველჰყოს ეს კურსები მასწავლებელთა კადრებით, სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით;

ბ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტის წინაშე აღძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დაამტკიცოს უცხო ენების პედინსტიტუტის მიღების კონტინგენტი 1941 წელს—200 კაცი, 1942 წელს—200 კაცი და დააწესოს სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული უცხო ენების ასპირანტურაში მიღების გეგმა 1941/42 სასწავლო წლისათვის 6 კაცის რაოდენობით, აქედან 3 კაცი დაუსწრებელი.

3. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ერთი დეკადის ვადაში გამოჰყოს ქ. თბილისში სათანადო ნაკვეთი უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის შენობის ასაშენებლად.

4. წინადადება მიეცეს საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატს 1940 წლის დამლევამდე უზრუნველჰყოს უცხო ენების პედაგოგიურ ინსტიტუტის შენობის 380 ადგილიანი (საშუალო სკოლის შენობის ტიპი) მშენებლობა დამტკიცებული პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით.

5. ნება დაერთოს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის დამლევამდე დახარჯოს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო ენების კურსების შესანახად 42,8 ათასი მანეთი იმ თანხებიდან, რაც ამ-ჩეთის ასსრ ბიუჯეტით დამტკიცებულია განათლებისათვის.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს დახარჯოს რესპუბლიკური ბიუჯეტით განათლებისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან 27,3 ათასი მანეთი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული უცხო ენების კურსების შესანახად.

7. გავრცელდეს 1940 წლის 1 ოქტომბრიდან უცხო ენების მასწავლებლებზე „მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთათვის სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 19, მუხ, 163) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 9 აპრილის დადგენილების გასატარებლად საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ 1936 წლის 9 აგვისტოს დამტკიცებული ინსტრუქციის 11 მუხ. (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 24, მუხ. 141) რომლის თანახმადაც დედაენის, ლიტერატურისა და მათემატიკის მასწავლებლებს წერითი სამუშაოს შემოწმებისათვის გასამრჯელოდ უნდა მიეცეს თვეში 40 მან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ნოემბრის 22. № 2389.
თბილისი.

---

134. თბილისში სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის ორგანიზაციის შესახებ.

„სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლების ჩამოყალიბების შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 6 ნოემბრის დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 30, მუხ. 728) განსახორციელებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მოაწყოს ქ. თბილისში სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლა.

2. დაწესდეს 1940-41 წლისათვის სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი 500 კაცის რაოდენობით, აქედან ქართულ სექტორზე—340 კაცი და რუსულ სექტორზე—160 კაცი.

დამტკიცდეს მოსწავლეთა შემდეგი განაწილება კლასების მიხედვით: ხუთ მერვე კლასში—200 კაცი, ოთხ მეცხრე კლასში — 150 კაცი და ოთხ მეათე კლასში—150 კაცი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს:

ეროვნული

ა) სამხედრო-საჰაერო ძალთა ახლად მოწყობილ სპეციალურ საშუალო სკოლას დაუთმოს თბილისის მე-107 საშუალო სკოლის შენობა;

ბ) 1940 წლის 25 დეკემბრისათვის დაამთავროს მოსწავლეთა მიღება სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალურ საშუალო სკოლაში საშუალო სკოლების მერვე, მეცხრე და მეათე კლასების საუკეთესო მოსწავლეებისაგან სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლების წესდების შესაბამისად;

გ) არაუგვიანეს 10 დეკემბრისა შეიმუშაოს და დაამტკიცოს სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის სასწავლო გეგმები და პროგრამები, კერძოდ 1941 სასწავლო წლის გარდამავალი სასწავლო გეგმები და პროგრამები;

დ) შეარჩიოს სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლისათვის მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა შემადგენლობა.

4. სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალური საშუალო სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის მიღების ხელმძღვანელობა დაეკისროს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. კიზირია (თავმჯდომარე), ა. გიორგაძე (თბილისის სახალხო განათლების განყოფილება) და ა. მირცხულავა (საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. ნოემბრის 23. № 2375.
თბილისი.

СОБ ГРУЗ
ПР РУСТАВЕЛИ 33,35
К И З Л БИБ,КА
1 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 28

შეკ. № 176 ტირაჟი 2000